



## 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურის მედიაში გაშუქება

### ბეჭდური მედიის მონიტორინგი

10 - 25 ოქტომბერი, 2016

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი“ (CDI) ატარებს მედიამონიტორინგს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის „2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა“ ფარგლებში. მონიტორინგი ხორციელდება 2016 წლის 20 მაისიდან 2016 წლის 19 დეკემბრის ჩათვლით და მოიცავს 7 გამოცემას: „რეზონანსი“, „ახალი თაობა“, „ასავალ-დასავალი“, „ალია“, „გურია news“, „ქრონიკა +“, „კვირის პალიტრა“.

მოცემულ ანგარიშში შესულია მედიის მონიტორინგის შედეგები მხოლოდ არჩევნების მეორე ტურში მონაწილე პოლიტიკური პარტიებისა და დამოუკიდებელი კანდიდატებისათვის.

მასალის რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ძირითადი მიგნებები:


- საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურის წინ პოლიტიკური პარტიებიდან ყველაზე მეტი გაშუქება კვლავ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ და „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ დაეთმო.
- მონიტორინგისთვის შერჩეული ბეჭდური გამოცემების უმრავლესობაში კვლავ ჭარბობდა პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ კრიტიკა.
- საკმაოდ პასიურად შუქდებოდნენ მაჟორიტარობის დამოუკიდებელ კანდიდატები.
- მონიტორინგის მოცემულ პერიოდში კვლავ ხშირი იყო ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევები.
- გაზეთებში „რეზონანსი“ და „ქრონიკა +“, გვხვდებოდა საეჭვო წყაროებზე დაყრდნობით მოპოვებული ინფორმაციის გამოქვეყნების შემთხვევები.
- გაზეთები „ასავალ-დასავალი“ და „ალია“, კი კვლავ გამოირჩეოდნენ შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის ხშირი გამოყენებით პოლიტიკოსთა გაშუქებისას, (მაგ. „მშვიდობით რესპუბლიკელო ხლისტებო“ („ასავალ-დასავალი“, 10-17 ოქტომბერი, გვ. 31); „არ შემოხაზო 5, ესენი ნაცბოლშევიკები არიან“ („ასავალ-დასავალი“, 17-24 ოქტომბერი, გვ. 5) და ა.შ.).
- მონიტორინგის ამ პერიოდში, გამოცემები ნაკლებად დროს უთმობდნენ მეორე ტურის კანდიდატებს და ძირითადად პოლიტიკურ პარტიებს აშუქებდნენ. გამონაკლისი შემთხვევა დაფიქსირდა გაზეთ „ალიაში“, სადაც პარტიის „ქართული ოცნება - დემოკრატიული

საქართველო“ მაჟორიტარობის კანდიდატი, უჩვეულოდ დადებითად წარმოჩინდა: „...ვალერი გელაშვილი არის პრინციპული, ამტანი, უზომოდ შრომისმოყვარე, მებრძოლი, შეუპოვარი, ეს თავისი ცხოვრებით უკვე დაამტკიცა! უყვარს წესრიგი, არის მიზანდასახული, ფრთხილი და დაკვირვებული, მიზნისკენ მიმავალ გზაზე დაბრკოლებები მას მხოლოდ აძლიერებს...“ (გაზეთი „ალია“, 2016 წლის 24 ოქტომბერი, გვ. 6).

- მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ბეჭდურ მედიაში ნაკლებად გვხვდებოდა არჩევნების მეორე ტურთან დაკავშირებული პროცედურების გაშუქება.


## „რეზონანსი“

სუბიექტების გაშუქება "რეზონანსში"  
ტონის მიხედვით (%)  
(10 ოქტომბერი - 25 ოქტომბერი, 2016)




## „ალია“

სუბიექტების გაშუქება "ალიაში"  
ტონის მიხედვით (%)  
(10 ოქტომბერი - 25 ოქტომბერი, 2016)



## „კვირის პალიტრა“

სუბიექტების გაშუქება "კვირის პალიტრაში"  
 ტონის მიხედვით (%)  
 (10 ოქტომბერი - 25 ოქტომბერი, 2016)



„ასავალ-დასავალი“

სუბიექტების გაშუქება "ასავალ-დასავალში"  
 ტონის მიხედვით (%)  
 (10 ოქტომბერი - 25 ოქტომბერი, 2016)



„ახალი თაობა“

სუბიექტების გაშუქება "ახალ თაობაში"  
 ტონის მიხედვით (%)  
 (10 ოქტომბერი - 25 ოქტომბერი, 2016)



სუბიექტების გაშუქება "გურია news"-ში  
ტონის მიხედვით (%)  
(10 ოქტომბერი - 25 ოქტომბერი, 2016)



სუბიექტების გაშუქება "ქრონიკა +" -ში  
ტონის მიხედვით (%)  
(10 ოქტომბერი - 25 ოქტომბერი, 2016)

